ცნობა

ლევან იზორია დაიბადა 1974 წლის 5 თებერვალს, ჩხოროწყუს რაიონში;

1996 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი, 1999 წელს წარჩინებით დაამთავრა გერმანიის ქ. გოტინგენის აუგუსტის სახელობის უნივერსიტეტის მაგისტრატურა, არის სამართლის დოქტორი;

1995-1998 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრის ლაბორანტი, მასწავლებელი;

1998-1999 წლებში სწავლობდა გერმანიის ქ. გოტინგენის აუგუსტის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურაზე;

1999-2002 წლებში იყო ქ. გოტინგენის სახელმწიფოს ზოგადი მოძღვრებისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორის თანაშემწე;

2002-2003 წლებში – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრის დოცენტი;

2002-2003 წლებში – უშიშროების საბჭოსთან არსებული უშიშროებისა და სამართალდამცავი სისტემის ორგანოების რეფორმის კომისიის კოორდინატორი;

2003 წელს დაინიშნა გერმანიის კონრად ადენაუერის სახელობის პოლიტიკური ფონდის რეგიონულ წარმომადგენლად სამხრეთ კავკასიაში;

2004-2006 წლებში იყო საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორი;

2006-2007 წლებში – საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

2007-2009 წლებში – შპაიერის გერმანული საჯარო ადმინისტრაციის კვლევის ინსტიტუტის მეცნიერ-მკვლევარი;

2009 წელს მიენიჭა კავკასიის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორის წოდება და იმავე წელს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის წოდება;

არის ოთხი წიგნის ავტორი, ოთხი წიგნის თანაავტორი და რამდენიმე სტატიის ავტორი;

2012 წლის 30 ოქტომბრიდან 2015 წლის 3 აგვისტომდე იყო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;

2015 წლის 3 აგვისტოდან 2016 წლის 1 აგვისტომდე – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე;

2016 წლის 1 აგვისტოს დაინიშნა საქართველოს თავდაცვის მინისტრად;

ფლობს გერმანულ და ინგლისურ ენებს;

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.